

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომდევნადი მოსახლეობისთვის

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდა მთიან რაიონებში - 30-35, მაღალ მთაში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 29 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

პირველი ნიუსი

საქართველოს ეკონომიკა და ტურისტული სექტორი გამოირჩევა ადგილის ერთ-ერთი სწრაფი ტემპით რეგიონში, - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ირაკლი ნადარეიშვილი. «2022 წლის ივლისში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2019 წლის მაჩვენებელს 20 პროცენტით გადააჭარბა, ხოლო იანვარ-ივლისის პერიოდში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 1,6 მლრდ დოლარს გადააჭარბა, რაც 2019 წლის მაჩვენებლის 87,4% -ია. ეს არის კიდევ ერთი დადასტურება, რომ საქართველოს ტურისტული ბაზარი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მდგრადია გამოწვევების მიმართ,» - განაცხადა მან.

პარტია «ახალისთვის» ლიდერის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით დღითი დღე იზრდება ხანძრები, ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ სასწრაფოდ უნდა შეასრულოს საკუთარი ფუნქცია მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვაზე და დაეხმარებოდეს საზოგადოებას გაგრძელებული ხანძრების მიზეზების შესახებ ინფორმაცია უნდა გავრცელდეს. ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ ანგარიშის ჩაბარება თუ რა ხდება ჩვენს გარშემო ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელსაც შეეძლება უსაფრთხოება,» - განაცხადა ანა დოლიძემ.

ექსპერტიზის მიხედვით სააკაშვილის ადვოკატის, შალვა ხაჭაპურიძის ინფორმაციით, ამერიკელმა სამედიცინო ექსპერტმა ერიკ გოლდსმიტმა სააკაშვილის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარა, ასევე, შესაბამის კითხვებს უსვამდა და დიპლომონზე მისი საუბარი ჩაიწერა. როგორც ხაჭაპურიძემ აღნიშნა, შესაბამისი სამედიცინო დასკვნა სამოთხე დღეში გამოქვეყნდება. სააკაშვილის მოსახარულებლად კლინიკა «გივამედში» გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ონდერ ოსქალიფიცირებული. ისინი ცენტრმა «ემპათი-ამ» მოიწვია.

ბორჯომში ხანძრის ქრობის პროცესი დასრულდა ეტაპზე, - ამის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მუსელიანმა განაცხადა. მისივე თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სექტორებზე არსებული მხრჩოლავი კერების დამუშავება. «მეხანძრე-მაშველების მიერ სრულად კონტროლდება პროცესი და მიმდინარეობს უწყვეტი სამუშაოები ხანძრის ლიკვიდაციისთვის», - განაცხადა მუსელიანმა. ხანძრის კერები ბორჯომში რამდენიმე დღის წინ გაჩნდა. ცეცხლის ლიკვიდაციის სამუშაოებში ამ დღეებში თურქული სახანძრო თვითმფრინავი ჩაერთო.

მომავალი 5 აპრილი

«ჯვარიანი მშობლები» მთავარი ლაშქარი მხოლოდ მთავრია...

თემატიკა 599 85 21 14

დღესასწაულს სათავე ჰყავს სეზონური, აწ განსვენებულმა სანდრო შარაშიძემ დაუდო. ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ფესტივალმა კვლავ უმასპინძლა სტუმრებს. დონისძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საერთაშორისო შეჯიბრი ოფროუდში

- ჯვარიანი მშობლები და სხვა ტერიტორიები ჩემთვის უცხო არაა. ბავშვობის წლები მაქვს გატარებული, - გვითხრა აჭარის ოფროუდის ფედერაციის პრეზიდენტმა შარაშიძემ. - ფედერაციის მიზანი იყო «ჯვარიანი მშობლები» ფესტივალში ჩვენი წვლილი შეგვეტანა, მაყურებელი მოგვეზიდა, სპორტული ჟინი გვეჩვენებინა. ჩვენ ვასპარეზობთ სომხეთში, თურქეთში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ აჭარაში ჩატარებული შეჯიბრები მასშტაბურებით, მაყურებლის აქტიურობით გამოირჩევა. აქ საერთაშორისო შეჯიბრება იმართება. ესეც ერთი ნაბიჯია ამ ტერიტორიის პოპულარიზაციისთვის, ტურიზმის განვითარებისთვის. აჭარის მთიანეთში პირველი პაუზობა მთა ჩირუსში



გამართეთ. იქ მეტი დაბრკოლებების დაძლევა უხდებოდათ შეჯიბრებაში მონაწილე მანქანების მძღოლებს. ჩვენ მწვანე საფარსაც ვუფრთხილდებით. გამარჯვებულებისთვის დაწესებული პრიზები, ფულადი ჯილდო-

ბი. მალაზია «ოთხი მრული» გამარჯვებულებს მანქანის ნაწილებს გადასცემს. პრიზები სხვა კომპანიებმაც დააწესეს. მთავარი ჯილდო 2000 ლარია. შეჯიბრება დილით დაიწყო და გვიან დასრულდა. დაზიანებული მანქანები ევაკუატორებით გადაიყვანეს. მთავარი პრიზი სომეხმა მძღოლმა დაისაკუთრა. 25 მონაწილიდან 6 აჭარიდან იყო.

ნ. შ-6 33.

„ლიმეს კონგრესი - 2024“ ბათუმში ჩატარდება

აჭარის მთავრობის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ვარშავის უნივერსიტეტისა და არქეოლოგიური ჯგუფის ჩართულობით, პირველად საქართველოში რომის იმპერიის ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი ჩატარდება

„ლიმეს კონგრესი“ 1949 წლიდან ყოველ 3 წელიწადში ერთხელ იმართება ყოფილი რომის იმპერიის საზღვრების გაგრძელების არეალში. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტის და უნივერსიტეტების პროფესორები და წამყვანი სპეციალისტები (მათ შორის აშშ, კანადა, ავსტრალია და სხვ.).

რომლებიც განიხილავენ რომის იმპერიის სამხედრო სტრატეგიას, საფორტიფიკაციო სისტემების ფუნქციონირების თავისებურებებსა და საერთო ნიშნებს, ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს, სამეცნიერო ნოვაციებსა და ა.შ.

ბათუმში კონგრესის ჩატარების გადაწყვეტილების მიღებამდე, ორი წლის წინ, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და ვარშავის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ჩვენს ქალაქს საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის „Limes Congress 2024“-ის საორგანიზაციო კომისიის წევრები ეწვევნენ.



ნ. შ-2 33.

გიორგი ისაკაძე: მჯერა, «ლემის სერენადებს» აუხილებლად ჩავატარებთ იქ, სიღანას მისი ისტორია დაიწყო

მუკად მთავარი: პატარა ეკლესია სულ სჭირდებათ სულიერი ნინამქოლი

გამოიცანით გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

რებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





მინისტრი ტყის სანიტარიულ მდგომარეობასა და სატექნიკო მარეგულირებელს გაეცნო

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ „აჭარის სატექნიკო სააგენტოს“ მუხანგის სატექნიკო ადმინისტრაციის ლაბორატორიაში ტყის სანიტარიულ მდგომარეობას და სატექნიკო მარეგულირებელს გაეცნო

ლაბორატორიაში, მინისტრთან ერთად, აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტყარაძე, მუხანგის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე და სსიპ „სატექნიკო სააგენტოს“ ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ. მათ განმარტებებს აძლევდნენ მეცნიერები რეზო ვასაძე და გალინა მეფარიშვილი.

იმავე დღეს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე მუხანგის მუნიციპალიტეტის მთა ჩირუხში იმყოფებოდა, სადაც მეტყვევის სახლი დაათვალიერა.

ჩირუხის მეტყვევის სახლი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ „აჭარის სატექნიკო სააგენტოს“ ქვეპროგრამის „სატექნიკო სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“ - ფარგლებში აშენდა. მისი ძირითადი დანიშნულებაა ტყის რესურსებზე მოსახლეობის სოციალური მოთხოვნების დროული დაკმაყოფილება დასახლებული პუნქტებიდან დაშორებულ უბნებში, განსაკუთრებით - ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე, ასევე, ტყის უკანონო სარგე-



ბლომის პრევენცია და სხვა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი მუხანგის მუნიციპალიტეტში აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს აჭარის სატექნიკო სააგენტოს 2021 წლის ქვეპროგრამით გათვალისწინებული დეგრადირებული ტყეების ბუნებრივი აღდგენა-განახლების სამუშაოებს გაეცნო. პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები 100 ჰექტარ ფართობზე მიმდინარეობს. აირჩიქნა მიმდებარე ტერიტორია, შემოიღობა აკაციის ბოძებით და ეკლიანი მავთულით. განთავსდა ბა-

ნერი და რკინის ჭიშკარი. პროგრამა 2014 წლიდან ხორციელდება და ამ დროისათვის 950 ჰექტარზე მეტი დეგრადირებული ფართობია აღდგენილი.

პროგრამის მიზანია ტყის დეგრადაციის შეჩერება, ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ზაზა შავაძეს ახლდნენ მუხანგის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და აჭარის სატექნიკო სააგენტოს დირექტორი თემურ ყურუმბაძე.

ბათუმში საქველმოქმედო კამპანია – „ბაუხალიცა სასწავლო წელი“ დაიწყო

მარიამ ხოთაძე 27 48 93

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, შიპერმარკეტ „გუდვილი“ ერთად, 29 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით თბილისსა და ბათუმში სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის საქველმოქმედო კამპანიას იწყებს. „გაუხალისე სასწავლო წელი“ - ასე ჰქვია კამპანიას, რომლის ფარგლებში შეგროვებული თანხა ბავშვებისთვის ძირითადი სასკოლო ნივთების შეძენას მოხმარდება



წითელი ჯვრის მთავარი მიზანია, დაეხმაროს უმწიფო და მოწყვლად ჯგუფებს, ამიტომ მსგავს საქველმოქმედო კამპანიებს ხშირად გვევლინება. წინა წლებში გვექნა მარტოხელა ხანდაზმულეებისთვის, სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ადამიანებისთვის, უკრაინიდან ჩამოსული დევნილებისთვის... რაც შეეხება კამპანიას - „გაუხალისე სასწავლო წელი“, წელს პირველად ტარდება ჩვენს ქალაქში. ვინაიდან ხშირი კომუნიკაცია გვაქვს მოწყვლადი ჯგუფის ადამიანებთან სხვადასხვა კამპანიის დროს, თუ უშუალოდ ცხელი ხაზის მეშვეობით, ამ ეტაპზე პრიორიტეტი სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიანი ოჯახების მოსწავლეებს მივანიჭეთ, რომლებიც არიან 6-დან 10 წლამდე. ბავშვებთან მცირე ინტერვიუები გვექონდა, სადაც მათი საჭიროებები გავიზიარებ. ზოგს ჩანთა სჭირდება, ზოგს - სახატავი რეგულერი, ტანსაცმელი, საკანცელარიო ნივთები და სხვა. ამიტომაც ჩვენ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მაქსიმალურად შევეცადებით, ბევრი ასეთი ბავშვი გავახაროთ წინასასკოლოდ. ფილიალის მოხალისეებიც ძალიან მოტივირებული არიან. უხარიათ, რომ მსგავსი კამპანია იწყება და ჩაერთვებიან. სკოლის დაწყებამდე სწორედ ისინი გაახარებენ მოსწავლეებს. მთავარია ეს კამპანია მოქალაქეებამდე მივიღეს, რომლებიც, მათთვის სასურველ თანხას გაიღებენ და ამ პატარებს დაეხმარებიან.

დღეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ფილიალი შიპერმარკეტ „გუდვილი“ ერთად იწყებს საქველმოქმედო კამპანიას „გაუხალისე სასწავლო წელი“. კამპანიის ფარგლებში შეგროვებული თანხა სასკოლო ნივთების შესაძენად დაიხარჯება. ნივთები კი მოხმარდება ბავშვებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. შეგახსენებთ, რომ დონაცია მიმდინარეობს შიპერმარკეტ „გუდვილის“ შესასვლელში და შესაძლებელი იქნება როგორც ნაღდი ფულით, ასევე გადაირიცხვოს. ჩვენს სტენდზე განთავსებულია „QR“ კოდი სპეციალური ანგარიშით, სადაც მოხდება თანხის ონლაინ ჩარიცხვა, ვისაც ამის სურვილი ექნება. პრიეტის მიზანია ბავშ-

ვები მოზადებულები შეხვდნენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. სოციალურად დაუცველი ბავშვების არაერთი კატეგორიაა. არიან დედამით ობლები, ასევე, ბავშვები მრავალშვილიანი და 1000-ზე დაბალი ქულის მქონე ოჯახებიდან... რა თქმა უნდა, სხვა კამპანიის ფარგლებშიც ვემარტებით ამ ბავშვებს, მაგრამ აქ შეგროვებული თანხის მიხედვით გაირკვევა კატეგორია, თუ ვის დავეხმარებით ამ აქციის ფარგლებში. კამპანია 2 კვირას გაგრძელდება. როცა თანხა დაითვლება, კატეგორიულად შევარტებით, - გვითხრა წითელი ჯვრის ბათუმის ფილიალის აღმასრულებელმა მდივანმა ნინო მამულიაშვილმა.

მასოვს სკოლის პირველი დღე. ვიცი, თუ როგორი მნიშვნელოვანი და ემოციური ის თითოეული ბავშვისთვის. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ასეთი ორგანიზაცია არსებობს წითელი ჯვრის სახით და საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციაა, ეხმარება პატარებს ოცნებების ახდენაში, - გვითხრა წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისე მაკა ფუტყარაძემ.

„ლიმეს კონგრესი - 2024“ ბათუმში ჩატარდება

პირველი გვერდიდან

ისინი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მია ხაჯიშვილს შეხვდნენ და ბათუმში საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, ამ მიმართულებით რეგიონის შესაძლებლობები შეაფასეს. როგორც აღვნიშნეთ, კონგრესი იმ ქვეყნებში იმართება, სადაც რომის იმპერიის ისტორიული კვალი ფიქსირდება. სტუმრები პოლონეთიდან, შოტლანდიიდან და გერმანი-

იდან ამ ისტორიულ კავშირს გაეცნენ. დაათვალიერეს გონიოს ციხე, რეგიონის დირსშესანიშნაობებისა და ტურისტული მარშრუტების შესახებ პრეზენტაციას დაესწრნენ. მაშინ ბათუმის კონკურენტად მხოლოდ კვიპროსი მოიაზრებოდა. ამჟამად გადაწყვეტილება მიღებულია - კონგრესს ჩვენს ქალაქში უმასპინძლებს.

„ლიმეს კონგრესი - 2022“ ამ დღეებში ნიდერლანდებში, ქალაქ ნაიმეგენში გაიმართა. მასში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, კულტურული მემკ-

ვიდროების დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზურა ახვლედიანი, სააგენტოს არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსების, არქეოლოგიისა და საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი ლაშა ასლანიშვილი და სსიპ „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის“ მმართველი ემზარ კახიძე მონაწილეობდნენ.

წელს კონგრესს 35 ქვეყნის 500-მდე დელეგატი დაესწრო.

ანა ჩხიშკაძე

შავაძე-კვირის ქრონიკა

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით, შემუშავდა „მანგნებელთა ინტეგრირებული მართვის IPM მოდულებლისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის“ სასწავლო კურსი, რომელიც პროფესიული გადამზადების ეგიდით განხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სასტუმრო „მონარქში“ გაიმართა შეხვედრა, რომელსაც მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა, კალიფორნიის ფრენოს უნივერსიტეტის დოქტორები, სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული მხარეები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე USDA წარმომადგენელმა საქართველოში დემნა ძირკვაძემ განაცხადა, რომ მსგავსი ტიპის აქტივობები ინტენსიურად გაგრძელდება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციაში.

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი ქობულეთის მუნიციპალიტეტში მორიგი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს. სოფელ ქაქუთში 2,120 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით მოწყობა ბეტონის სანიაღვრე არხები, ქვედა და ზედა საყრდენი კედლები, გაბონები და ლითონის მილები. ხელოვნური ნაგებობების მოწყობის შემდეგ ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება და სავალი ნაწილის ორივე მხარეს ჰორიზონტალური მონიშვნა გაკეთდება. სახელმწიფო დირექციის შედეგად შეადგენს 700 000 ლარს. რეაბილიტაციული გზით კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას 50 ადგილობრივი ოჯახი შეძლებს. მიმდინარე სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე მოადგილეებთან, სპეციალისტებთან და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერ ლევან ზოიძესთან ერთად გაეცნო.

აჭარაში ქართული საბრძოლო ხელოვნების დირინის და აჭარის ქართული საბრძოლო ხელოვნების თეატრის მონაწილეობით, გონიო-აფხაროსის ციხეში ქართული საბრძოლო ხელოვნების მნიშვნელობის კიდევ ერთხელ დემონსტრირებისთვის საჩვენებელი გამოსვლა გამართა. ხმლის, ფარისა და სხვადასხვა ქართული საბრძოლო იარაღის რეალური ბრძოლის პირობებში გამოყენების შესახებ მსურველებსთვის მასტერკლასი ჩატარდა.

ბათუმში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მებრძოლებისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა მკლავჭიდაში. მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 80-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ტურნირში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებიც მონაწილეობდნენ. შეჯიბრება ტრადიციული და წელს მეცამეტედ გაიმართა.

ბათუმის ბულვარში ელექტროსკუტერების ეროვნულმა ფედერაციამ საჩვენებელი მსვლელობა მოაწყო. ღონისძიების მიზანი ტრანსპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციაა. ორგანიზატორების თქმით, ოქტომბერში თბილისში სკუტერების ჩემპიონატი გაიმართება.


მომზადდა ნათია იმნაიშვილი



გიორგი ისაკაძე: მჯერა, „ღამის სერენადებს“ აუსილებლად ჩავატარებთ იქ, საიდანაც მისი ისტორია დაიწყო

ნანა აბულაძე 591 98 59 17

საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ კლასიკური მუსიკის „გურამბეგის“ ყოველწლიურად დაუფიქრებლად რამდენიმე დღეს ჩაუქნის



სო შემოქმედი, რომლისთვისაც ყოველთვის უცხო იყო და არის ზედაპირული ეფექტები, პუბლიკასთან შეეკლუება, წუთიერი მოღურა

ნებიოთა ფესტივალი დატვირთული - იგი 1982 წელს აფხაზეთში, მშვენიერ ბიჭვინთაში დაარსდა. სა-მწუხაროდ, საქართველოს 20 პროცენტის ოკუპაციის გამო, ფესტივალის ჩატარება შეწყდა, ხოლო შემდეგ ბათუმში აღდგა და გახდა ბათუმ-თბილისის ვიდეოფესტივალისა და გარემოების და მსმენელს ძალიან ბევრ სიხარულს მოვლავს. მჯერა, ფესტივალს აუცილებლად ჩავატარებთ იქ, საიდანაც მისი ისტორია დაიწყო. ეს არის ლიანას და ჩვენი გულის წაღილი.

- ბატონო გიორგი, რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ ლიანა ისაკაძის ძმისშვილი და „ღამის სერენადები“ სამხატვრო ნელმდგანელი?

- მე და ლიანა 2011 წლიდან ვთანამშრომლობთ. მაშინ ერთობლივად დავაარსეთ ახალი ფესტივალი „ფესტივალის მეგობრები“. მოგვხსენებთ, მაშინვე, სახალხო არტისტი, პროფესორი, ვიოლონჩელისტი ელდარ ისაკაძე, რომელმაც

ლიან, ძალიან მიყვარს.

- ბედნიერება არის.....
- სულის გაწონასწორება, გაწონასწორებული ხედვა სიცოცხლისა, შინაგანი სიმშვიდე, არსებულ მოვლენებზე კონცენტრირება და პირადად ჩემთვის - ხელოვნებით სიცოცხლე... და, რა თქმა უნდა, რელიგია, რაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის უმნიშვნელოვანესია.

- რა როლი აქვს მუსიკას თქვენს ცხოვრებაში და, ზოგადად, რა როლი აქვს მას ადამიანის შინაგანი სამყაროს, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში?

- მე ვახსენებ ჩვენი ოჯახის მუსიკალური ტრადიცია, შესაბამისად, მუსიკა ჩვენთვის - მამაჩემისთვის, ლიანასთვის ძალიან ახლოს იყო რელიგიასთან. ჩვენ ყოველთვის თაყვანს ვცემდით შედეგებს, როგორც აქვთ ბახს, ბეთჰოვენს, მოცარტს... შეიძლება კიდევ რამდენიმეს ჩამოვთვალო. ეს ის შემოქმედებებია, რომელიც პრაქტიკულად რე-

ოლაში, უფრო წარმატებით ითვლებენ სხვა საგნებს, კერძოდ, მათემატიკას, შინაგანი წარმოსახვის უნარი აქვთ უკეთესი, ასევე, ემოციური გამოხატვის, ამდენად, სოციალიზაციის უნარი აქვთ გაცილებით უკეთესი. ასე რომ, მუსიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდულთათვის პროცესში.

- როგორ ფიქრობთ, დღეს, მუსიკალური ქალაქი, რაღაც დონით ხომ არ მოხდა ადამიანების გაუცხოება კლასიკურ მუსიკასთან?

- ვთვლი, რომ მსოფლიოში ამაჟამად გარკვეული დეკადანსი მიმდინარეობს... სამწუხაროდ, ძალიან ვიწრო, ეგოისტური მუსიკალური ინტერესები წამოვიდა წინა პლანზე, თუმცა, მიმჩნია, რომ მაღალი კლასიკური მუსიკა ცივილიზაციის კულმინაციაა, რომელიც მოიცავს ფილოსოფიას, ლიტერატურას, პოეზიას. ყველაფერი შეისრულა მან. რა თქმა უნდა, იქნება ბევრი მუსიკა, რომელსაც არ გააჩნია შინაგანი საფუძველი, ფორმალურად, წუთიერად, რაღაც სხვა მოსაზრებებით ნასაზრდოები და შექმნილი მუსიკაა, მაგრამ დრო განსჯის ყველაფერს. ბოლო სიტყვა ეკუთვნის დროს. დაიღვრება ის, რაც ნამდვილია, ამაღლებულია, ის, რაც ადამიანს, ადამიანობას ბიძგს აძლევს, ცივილიზაციას ავითარებს.

- რა არის ქალბატონ ლიანა ისაკაძის შემოქმედების გზავნილი?

- სულიერება, სიღრმისეული წვდომა, უაღრესი დრამატიზმი. ის განიცდიდა და განიცდის ადამიანობის ტვივილს. ამიტომაც, მისი მუსიკა ცნობილია როგორც უმაღლესი დრამატულობით აღსავსე, სიღრმისეული, ყოველგვარი გარეგნულობისგან დაცული. ამავდროულად, სულის ზემო ახასიათებდა მას შემოქმედებაში. ადფრთოვანება - ეს არის ის, რასაც ლიანა თავისი მუსიკით უზიარებდა პუბლიკას.

|| ვთვლი, რომ მსოფლიოში ამაჟამად გარკვეული დეკადანსი მიმდინარეობს... სამწუხაროდ, ძალიან ვიწრო, ეგოისტური მუსიკალური ინტერესები წამოვიდა წინა პლანზე, თუმცა, მიმჩნია, რომ მაღალი კლასიკური მუსიკა ცივილიზაციის კულმინაციაა, რომელიც მოიცავს ფილოსოფიას, ლიტერატურას, პოეზიას. ყველაფერი შეისრულა მან. რა თქმა უნდა, იქნება ბევრი მუსიკა, რომელსაც არ გააჩნია შინაგანი საფუძველი, ფორმალურად, წუთიერად, რაღაც სხვა მოსაზრებებით ნასაზრდოები და შექმნილი მუსიკაა, მაგრამ დრო განსჯის ყველაფერს

- „ღამის სერენადებს“ 40 წელი შეუსრულდა. როგორი იყო განვლილი გზა? რა წვლილი მიუძღვის „ღამის სერენადებს“ კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციაში?

- დავიწყებ იქიდან, რომ ფესტივალზე მოწვეული ყველა მუსიკოსი ეწევა კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას - ასე იყო გზის დასაწყისში, ასე დღემდე. აგრეთვე აღსანიშნავია ლიანას მუსიკალური გეზი. იგი თავად არის უკომპრომი-

მიმდინარეობები. იგი მუდამ ისწრაფვოდა და ისწრაფვის მუსიკის არსის სიღრმისეული წვდომისაკენ. ფესტივალის განმავლობაში უდიდესი კომპოზიტორების არაერთი ნაწარმოები გაუღერდა. ხაზგასასმელია, რომ ჩვენ ასევე დიდ ყურადღებას ვაქცევთ ქართველი ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებებს, რათა ხელი შევუწყოთ მათ წარმოჩენას. შეიძლება ითქვას - ძალიან დიდი ისტორიული მოვლე-

გერმანიაში მსოფლიოში გამოჩენილი სოლისტები აღზარდა, თავის უმცროს დას ამეცადინებდა. ჩემი მიზანია, ეს სულისკვთება გავაგრძელო, შევინარჩუნო ეს მუსიკალური მსოფლმხედველობა და ტრადიცია.

- გერმანიაში მოღვაწეობთ. ყველაზე მეტად რა გენატრებათ საქართველოში?

- თბილისის უზნებში სეირნობა, თბილისური ატმოსფერო, ასევე ქართული კერძები, რომლებიც ძა-

ლიგიას უახლოვდებოდა თავისი ჰუმანურობით. მუსიკა ჰუმანურობის აზრი და ადამიანური მდგომარეობის არსია, გარდა ამისა, მშვენიერებაა, რომლის გარეშე ჰუმანურობაც არ არსებობს. მშვენიერება მხოლოდ გარეგნული არ უნდა იყოს. მშვენიერება ადამიანის სულში ჩაღრმავება, რომელსაც მუსიკა ახერხებს. ცნობილია, მაგალითად, რომ მოცარტის მუსიკა ინტელექტს ამაღლებს. ბავშვები, რომლებიც მუსიკას სწავლობენ სკ-

ბაისად სხვადასხვა მდინარეების მდინარეების რეაბილიტაციის ფასები საპროექტო რეაბილიტაციის ბაზაზე

ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა გუშინ განაცხადა

„ჩვენთან ერთად უცხოელი ექსპერტები მუშაობენ, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში ამ პროექტის წარმატებით დაწერვაში იყვნენ ჩართულები. სწორედ მათი რეკომენდაციებით ხდება რეფერენტული ქვეყნის შერჩევა, რომლებიც განისაზღვრება როგორც გეოგრაფიული მდებარეობის, სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრებიდან გამომდინარე, ასევე მოსახლეობიდან და ბევრი სხვადასხვა ნიუანსის გათვალისწინებით. საორიენტაციოდ 5-7 ქვეყანა უკვე შერჩეულია, რამდენი დარჩება აქედან, არ ვიცი და ნურც ამ ქვეყნების დასახელებას მომთხოვთ. ამ ქვეყანაში მედიკამენტებზე ფასები იქნება ჩვენთვის ის რეფერენტული ფასი, სადაც ტრანსპორტირების სხვადასხვა ლოჯისტიკური ხარჯების გათვალისწინებით, ასევე „რითეილის მარჟის“ გათვალისწინებით იქნება ის მაქსიმუმი ფასი მედიკამენტებზე, აქტიურ ნივთიერებებზე, მოლეკულებზე, ასე ვთქვათ, რაც შეიძლება, საცალო ქსელში მედიკამენტს ჰქონდეს. ჩვენ იმდენად ოპერატიულად მივყვებით პროგრამას, როგორც დაგეგმილი გვქონდა, რომ უკვე მომდგენო წლის იანვრიდან ქრონიკული დაავადებების და კიბოს სხვადასხვა ტიპის მედიკამენტებისთვის უკვე გვექნება ეს რეფერენტული ფასები და პირველ ეტაპზე ეს საბიუჯეტო რეჟიმში გაეშვება, ხოლო მეორე ეტაპზე მთლიანად ბაზარზე გავრცელდება და მოლეკულების დონეზე ნებისმიერ მედიკამენტს შეეხება.“ - განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

აზიზან ბურბულიძე

მათემატიკოსთა საერთაშორისო კონფერენცია - ბსუ-ში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XII საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. ამის შესახებ ინფორმაციას ბსუ ავრცელებს

აღნიშნული ინფორმაციით, ერთი კვირის განმავლობაში 215 ქართველი და უცხოელი მათემატიკოსი სამეცნიერო მოხსენებებს წარმოადგენს ბოლო პერიოდში წარმოებული სამეცნიერო კვლევების შესახებ.

„კონფერენციის ფარგლებში ასევე გაიმართება ორი მინისიმუმი: ტოპოლოგია საქართველოში და ალგებრული გეომეტრია, ჭკუფების გეომეტრიული და ჰომოლოგიური ალგებრა.“

კონფერენციის ფარგლებში იმუშავებს ათი სექცია:

ალგებრა, ტოპოლოგია, გეომეტრია და რიცხვთა თეორია; გამოყენებითი მათემატიკა, ინფორმატიკა და გამოთვლებები გარემოს შემსწავლელ მეცნიერებებში; დიფერენციალური განტოლებები და გამოყენებები; მათემატიკური განათლება და ისტორია; მათემატიკური ლოგოკა და დისკრეტული მათემატიკა; ლოგოკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი; მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი; მათემატიკური ფიზიკა; ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა; ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, 2010 წლიდან ბათუმში ყოველწლიურად ტარდება.“ - ნათქვამია ინფორმაციაში.

აზიზან ბურბულიძე

საზაფხულო სკოლა - გოდერძიძე

კურორტ გოდერძიძე მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები 120 მოსწავლისთვის საზაფხულო სკოლა მოეწყო

პანდემიით განპირობებული სირთულეების დაძლევის მიზნით, აჭარის განათლების სამინისტროს მიერ საზაფხულო სკოლის პროექტი შემუშავდა, რომელიც მაღალმთიან აჭარის სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების მოსწავლეებს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში დაეხმარება.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, მასში ჩართულები არიან ქედამი, შუახევისა და ხულოში მცხოვრები საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.

„კურორტ გოდერძიძე ოთხი საზაფხულო სკოლა მოეწყო, სასწავლო პროცესში 120 მოსწავლეა ჩართული. მათ შესაძლებლობა აქვთ, დაესწრონ მეცადინეობებს ფიზიკის და მათემატიკის მიმართულებით. დროის მნიშვნელოვან ნაწილს უთმობენ შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობებს და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობას. საზაფხულო სკოლები გაიხსნა მიმდინარე წლის 10 აგვისტოს და დაიხურება 31 აგვისტოს.“ - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

აზიზან ბურბულიძე



მურად მთვარელიძე: პატარა ერებს სულ სჭირდებათ სულიერი წინამძღოლი

ლუაზა ხომეიძე 593 50 82 69

მურად მთვარელიძე - ცნობილი ლიტერატურისმცოდნე და საინტერესო მწერალი მხოლოდ თავისი პროფესიული საქმიანობით როდი იმსახურებს ყურადღებას, ის არაერთი, ამჟამად სახელგანთქმული მწერლის გზის გამკვალავი და აღმზრდელია: ცირა ბარბაქაძე, ეკა ბაქრაძე, გიორგი ლობჯინიძე, თათია მივარელიძე და კიდევ არაერთი კალმოსანი მისი ხელდასმულია. ტალანტების ძიებას და გზის გაკვალვას თავის მისიად მიიჩნევს, რასაც ახლაც მთელი გულით, სიყვარულით ასრულებს. ჩვენთვის საგულისხმოა ისიც, რომ მას ბათუმთან მრავალი თბილი მოგონება აკავშირებს, ეს ინტერვიუც სწორედ ამის გამოძახილია. მაშ ასე, დღეს ვაზეთ „აქარის“ სტუმარი ბატონი მურად მთვარელიძე.



პროზისა თუ პოეზიის ნიმუშებს. რაკი უფრო მეტ პატივს ვცემ ტრადიციულ ლექსს, ბუნებრივია, ამ მხრივაც პრიორიტეტს ვანიჭებ იმ ავტორებს, ვინც ძირითადად, ამ სახის ნაწარმოებებს ქმნის. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ლიტერატურას ყველაზე მეტად მოეთხოვება ზომიერ-

ამ. გიორგი ჩემი ნათესავიცაა. ჩვენი პაპები ბიძაშვილები იყვნენ. მისმა მამამ, ძია ილომ, სწორედ მე „მოძიებნა“ და მთხოვა, გავცნობოდი მისი ბიჭის ლექსებს და თუ იმსახურებდა, მისთვისაც გამეწია მეგზურობა ლიტერატურის დიდ გზაზე გასაყვანად. წაგიკითხე გიორგის ლექსები და მაშინვე გადავწყვიტე, ისიც პაატა ნაცვლიშვილისთვის გამეცნო. ლიტერატურის მოყვარულთათვის ცნობილია, როგორი დიდი წარდგინება მოუწყო პაატამ იგივე გაზეთის ფურცლებზე და როგორ შეიყვარა გიორგი ლობჯინიძე ქართველმა მკითხველმა. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ლობჯინიძე ჩვენი მწერლობისა და მთარგმნელობითი ხელოვნების პირველხარისხოვანი ოსტატია. მეოთხე უკვე ჩემი შვილი თათიაა, რომელიც ამ გარემოში იზრდებოდა და არავის ვაკვირებია, რომ ენა ლექსებით ამოიღება. დღეს თათიაც საკმაოდ ცნობილი პოეტი, ბერძნული ლიტერატურის მთარგმნელი და არაერთი პრე-

ულ ოჯახს ეძღვნება, მეორე დოკუმენტური პროზაა სახელწოდებით „გრაფინია ზარნიკაუ“, რომელიც სამი მაგისტრალური ხაზი ვითარდება: აგრავინა ჯაფარიძისა და მისი მეუღლის კონსტანტინე ოლდენბურგის, გიორგი რომანოვისა და ნაკაშიძის ასულის და ანდრეი ტოლსტოისა და გურიელის ასულის ისტორიები. ამ წიგნებს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოსცემს, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ. დასრულებული მაქვს წიგნი „წამებული აკაკი“, რომელიც ამ დიდი მწერლის რეალურ ცხოვრებას გვიხატავს. საინტერესო გამოძიება არცთუ ვრცელი რომანია „კორონაADA“, მზადაა საკმაოდ მოცულობითი სამეცნიერო ნაშრომები: „ვეფხისტყაოსანი ქართველი ერის ყოვალ-ცხოვრებაში“ და „შველ ქართულ მწერლობაში მოხსენიებული პირთა ანალიტიკური ლექსიკონი“, ასევე, ავტობიოგრაფიული რომანი. შემოდგომაზე გამომცემლობა „შემეცნება“ გამოსცემს ჩემს სამ საბავშვო წიგნს.

- დღევანდელ ვითარებაში როგორ ხედავთ მწერლის როლსა და

|| თუკი მოსწავლეთა 80 პროცენტზე მეტი იძულებულია დამატებითი გაკვეთილები კერძო მასწავლებლებისაგან მიიღოს, რაღას აკეთებს დღევანდელი სკოლა? მიმაჩნია, რომ თვით „საჯარო სკოლის“ სტატუსი არის გადასახედი, სკოლამ დაკარგა ის ფუნქცია, რაც მას საზოგადოების თვალში ავტორიტეტს სძენდა

ება, ვისურვებდი ახალგაზრდა ავტორებს სწორედ ეს გაეთვალისწინებინათ.

- თქვენ მრავალ ახალგაზრდა შემოქმედს გაუკვალეთ გზა...

- ოსიაურის სკოლაში რომ დავიწყე მუშაობა სრულიად ახალგაზრდა ვიყავი და იქ მეხუთე კლასში დამხვდა ერთი ბეჩოთი გოგონა გობელი ნაწინავეებით და მეოცნებე თვალებით, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს-ხოლომე, ხელი მაგრად ჩაკვიდე და შემოქმედებით გზაზე გავიყვანე. ეს გოგონა დღეს ყველა-სათვის კარგად ცნობილი პოეტი და ენათმეცნიერი, პროფესორი ცირა ბარბაქაძეა, რომელსაც ბევრი რამ აკავშირებს ბათუმთან. 2010 წელს ცირამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში ძალიან მაღალი დონის სამეცნიერო კონფერენცია ჩატარა სემინარების სფეროში. სხვათა შორის, იმ კონფერენციის მუშაობაში მეც ვმონაწილეობდი ასეთი თემით „ცისფერყან-წელთა ზღვა“. მერე იყო ერთგვარი ლეგენდა - სახელად ეკა ბაქრაძე. ბედმა მარჯუნა ეკას შემოქმედებისთვის თვალი შედევნებინა 5 წლის ასაკიდან. 10 წლის რომ გახდა, ხაშურის რაიონულ გაზეთში მისი ლექსები დავბეჭდე, ჩემი წინასიტყვაობა და ვთქვით, რომლის სათაურად მისივე ლექსის სტრიქონი გამოვიყენე „სიტყვები მისი ჩანჩქერებია“ და არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, რასაც იმ დღეს ეკას თვალები ირეკლავდა. მერე ეს ლექსებით პაატა ნაცვლიშვილის ჩავუტანეთ, რომელიც იმხანად „ახალგაზრდა კომუნისტს“ რედაქტორობდა და პაატამ ერთგვარი გამოცდის ჩატარების შემდეგ, ეკას რომ მოუწყო, ლექსები ქართველ მკითხველს წარუდგინა და ეს იმდროინდელ ლიტერატურულ სამყაროში ნამდვილი აფეთქება იყო. მთელი საქართველო მაშინ ამ პატარა ტალანტზე საუბრობდა, ყველა კუთხიდან ცდილობდნენ, ჩამოსულიყვნენ და საკუთარი თვალთ ენახათ. არ დამავიწყდება ერთი ასეთი შეხვედრა ეკას ბებია-ბაბუის სახლში, როცა მას ბათუმელი მოსწავლეები და სტუდენტები ესტუმრნენ. ამ შეხვედრის ინიციატორი იყო ბატონი იური ბიბილიაშვილი, რომელთანაც ეკაც და მეც შემდეგ დამეგობრდით. ასევე გააოცა თავის დროზე საქართველო ლიტერატურაში ჭიბუჯი გიორგი ლობჯინიძის შემოსვლ-

მისი ლაურეატია. მერე იყო კიდევ ერთი ძალიან ნიჭიერი გოგონა მაია წიქარიშვილი. ის იმ სკოლაში სწავლობდა, რომელსაც ბოლოს ვხელმძღვანელობდი. მაიას ძალიან უყვარდა თავისი სკოლის დირექტორი და ჩემი სკოლიდან წამოსვლის შემდეგ სისტემატურად მიწყობდა პატარა-პატარა დღესასწაულებს - ეს შეიძლება ყოფილიყო მანქანის საჭარე მინაზე მიკრული ბარათები, ან ალბომები, რაც მე მიძღვნებოდა, ან სულაც ჩემდამი მოძღვნილი წიგნი, რომელიც იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჩემს გაცემას საზღვარი არ ჰქონდა. მერე დიდ მეგობრებად ვიქცეით. მაია უკვე კარგა ხანია ბეჭდავს თავის საინტერესო ლექსებს ლიტერატურულ პერიოდიკაში. ის ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტიცაა და წინ ძალიან საინტერესო გეგმები გააქვს, როგორც წინადაც ლიტერატურული, ისე საკვლევადიერ-ბა საქმიანობის თვალსაზრისითაც. ან, ახლა ბედმა კიდევ ერთ ტალანტს შემეხვედრა. ამ ერთი თვის წინ ჩემთან მოიყვანეს ახალგაზრდა ხაშურელი კაცი ალექსანდრე კაკიაშვილი, რომლის ნაწერებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და მაშინვე შევარჩიე რამდენიმე პროზაული ტექსტი, რომელიც ჩემი რჩევით, მან „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორს ირაკლი ჯავახიძეს გაუგზავნა. ხუთივე ნოველა მოიწონეს და 5 აგვისტოს ნომერში თითქმის სამი გვერდი დაეთმო ამ ნიჭიერი ახალგაზრდის ნაწარმოებებს. ახლა სწორედ ლექსის შემოქმედებით ვარ დაკავებული და გარკვეული გეგმებიც მაქვს მისი პოპულარიზაციისათვის, რადგან მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან ნიჭიერი და განსაკუთრებული ხელწერის მქონე შემოქმედები. იყვნენ სხვებიც, ვთქვათ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები, ან სულაც უცნობები, რომლებიც თავიანთ ნაწერებს მაკითხებდნენ და მეც ვცდილობდი, მათთვის ხელი შემიქმეო, დაოსტატებაში დაეხმარებოდი. რამდენიმე მათგანი დღეს უკვე არაერთი წიგნის ავტორია.

- მკითხველს სამომავლოდ რას ჰპირდებით?

- საკმაოდ ბევრი გეგმა მაქვს. ამერად გამოიცემა ჩემი ორი წიგნი - ერთი სამეცნიერო-პოპულარულია და შიდა ქართლში, მე-19 საუკუნეში მცხოვრებ ხუთ ტრადიცი-

დანიშნულებას?

- ბალზაკს აქვს ასეთი გამოთქმა: „თავისი დროის წინაშე გაუმჯობესება - აი, მიზანი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყოველი მწერალი, თუ არ სურს მხოლოდ „ახალხის გამართობი“ იყოს“. მესმის, რომ დრო იცვლება და იცვლება შეხედულებანიც, მაგრამ ისეთი დიდი ისტორიის მქონე პატარა ერებს, როგორც ჩვენ ვართ, სულ სჭირდება სულიერი წინამძღოლი და მართლმადიდებლობასთან ერთად, ამ მისი შემსრულებელი მწერლობაცაა. მერევე საუკუნეში სწორედ ქართველმა მწერალმა იოვანე საბანისძემ შემოქმარა განგაშის ზარს და მიძინებულ ქართველობას საკუთარი უბედურება თვალნათლივ დაანახა. მეათე საუკუნეში გიორგი მერჩულევი მიანიშნა ქართველობას, რომ მშობლიური ენის გაძლიერებით უნდა დაწყებულიყო საქართველოს გაერთიანება, „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნე საუკუნეები ასაზრდოებდა ქართველ ერს გაბრძნობისა თუ დაღმრთების ურსს, მე-19 საუკუნეში ილიამ და მისმა თაობამ ასევე ღრმა ძილიდან გამოიყვანა ქართველი ერი და საზოგადოებას ეროვნული სულისა და ცნობიერების დაბრუნებისაკენ დაწვებული მოძრაობაში წინ გაუძღვა. საბჭოთა პერიოდშიც, მიუხედავად წინებისა და იდეურობისა, ქართველი მწერალი კვლავ რჩებოდა ერის სულიერების მდროშედ. დღეს ეს ყველაფერი თითქმის დაკარგულია. ქართველი მწერლების „ელიტარული ნაწილისათვის“ უმთავრესი აღარ არის ეროვნული ცნობიერება, უფრო მეტიც, პატრიოტიზმი პოეზიაში იქცა ერთგვარ ქილიკის საგნად და თუ მანაც არიან მწერლები, რომლებიც ამ გზას არ დალატობენ, ისინი ჩრდილში არიან მოქცეულნი. რასაკვირველია, არ ვგულისხმობ, რომ ლიტერატურა არ უნდა იყოს ზოგადკაცობრიული, ეს სხვა საკითხია და ჩვენ არაერთი ქართველი მწერალი გვყავს, რომლებმაც საკუთარი შემოქმედება ამ სიმაღლემდე აიყვანეს, მაგრამ მათ არასოდეს უღალატიათ ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციებისათვის, რის გეგმ-ზომიერი მსხვერვა დღეს ასე თვალში საცემია.

- ტექნიკური პროგრესი შეუძლებლობს კარს აუღებს და გადაწყობა, ანუ გადატვირთვა რომ შეგძლიოთ, რა დაგეგმობთ?

- გადატვირთვა ყველა თაობის ადამიანს სჭირდება, ეს ერთგვარი განახლებაა, ახალი იდეებისა და ცნობიერების, პროგრესის დამკვიდრება საკუთარ თავში. ეს არ არის იოლი საქმე, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე ადამიანები ამას ახერხებენ-ხოლომე, ოღონდ, კიდევ ვიმეორებ, ეს გადატვირთვა არ უნდა ეფუძნებოდეს ძველის უარყოფას, ახალს უნდა შევუნივთოთ უკვე არსებული, უარი ვთქვათ ისეთ ტრადიციებზე, რაც ხელს უშლის საზოგადოების განვითარებას, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენთვის, ქართველებისათვის უნდა ეფუძნებოდეს მართლმადიდებლობას და ტრადიციებს.

- ახალ ტექნოლოგიებში ცხოვრება ახალ წეს-ჩვეულებებს ამკვიდრებს... ტრადიციები იცვლება, რომელი ტრადიცია უნდა შევინარჩუნოთ და რომელი უკუგვაგდოთ, განსაკუთრებით რომ აფერხებს ჩვენს განვითარებას, მენტალურად გვზღუდავს?

- გვაქვს ისეთი ტრადიციები, რომელზედაც უარი უნდა ვთქვათ. შედარებით მცირეა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, დავიწყებას არ მივცეთ ღირებული ტრადიციები, რომლებიც ბოლო საუკუნეებში ნამდვილად მივიწყების გზაზეა. ეს უფრო ფართო დისკუსიის თემაა და დაკონკრეტება ამ შემთხვევაში საჭიროდ არ მიმაჩნია.

- „არა ბურთია ერთთა ცნობების კაცი“... ხომ?

- რასაკვირველია, ესაა სიბრძნე, რომლითაც ჩვენ აქამდე მოვედით. ესაა გზაც, რომელზედაც ჩვენ წინაპრები დადიოდნენ. აკაკის აქვს ასეთი სტრიქონები: „თუ იდეალი მწერლისა მხოლოდ პური და გროშია, რა არის, თუ არ წუბაკი პური-სთვის მყვიერ გომია“. უგლსატკობა კი ისაა, რომ დღეს უმრავლესობა ასე არ ფიქრობს. განსაკუთრებით რთული ბოლო წლებში აღმოჩნდა, როცა ვეღარც სკოლა და ვეღარც საზოგადოება ახერხებს ახალგაზრდების აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას. დღეს, სამწუხაროდ, მატერიალური ბევრად სკანის სულიერს, შესაბამისად, ფასეულობებიც ისეთი მივიღეთ, რომ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი, როგორც თვითმყოფადი ერის საკითხი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ერთ ლექსში ვწერდა:

*გვყავდნენ მეფენი,
მეტიც, გვყავდნენ მეფეთ-მეფენი,
ცხოვრობდით ისე,
ძველთაძველ ერს როგორც
შეჰფერის.*

დღეს ხელგაწვდილი ვაკუუმებთ ვიღაცის კარზე, კარსაც არ გიღებს ის, ვისზედაც მეტი ხარ ასჯერ.

და ეს ქვეყანა - მოცაცახე ლერწამის ღერი, მკრდვავლეჯილი წვეს და მაინც სხვის მანზე ღლერის, მე კი ბანგის დამეხსავით მკლავს ეს ფიქრები: დღეს კიდევ ჰა და ხვალ ნეტავი, ვინდა ვიქნებით?

აი, ეს კითხვა უნდა გვაწუხებდეს ყველას და დღენიდან ვცდილობდეთ ამ საშიშროების თავიდან აცილებას.

- წავგლეჯა უწამური სიტყვების კორიანტელმა, რა გვჭირს? არადა, თუ ლამაზად, გულიანად ვილაპარაკებთ, ხომ სიცოცხლეს გავინაგრობებთ...?

- ყველაზე ცუდ როლს ტელევიზია ასრულებს. ეთერიდან მოზარდს რომ ესმის ბილწი საუბარი, გაუმართავი ფრაზები, ამერიკული აქცენტით მოსაუბრე მყვირალა ტელეწამყვანები, როცა ყმაწვილი თანამედროვე რომანებსა და ლექსებში ხვდება ისეთ სიტყვებს, გამოთქმებს, პასუხებს, სცენებს, მთელ ეპიზოდებს, რომლებიც სრულიად შესაძლებელია სხვაგვარად თქმულიყო, როცა ჩვეულებრივ მეტყველებაში უკვე თითქმის დამკვიდრდა ეს სიტყვები, მათთვის ეს „უწამური სიტყვები“ სრულიადაც აღარაა „უწამური“. ვფიქრობ, უკვე ძალიან ძნელია ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა. მე, ცხადია, ამ სიტყვების



სოფიო დიასამიძე: ჩვენს პირობებში გამოყვანილი კალმახი გემოვნური მახასიათებლებით განსხვავებულია

ზიძრია ღამლაძე 579 25 25 72

სოფლიოში შექმნილი ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, ბევრი ახალგაზრდა თავის მამაპაპისეულ, მიტოვებულ კერას დაუბრუნდა და თავისი ოცნებების რეალიზება შეძლო. კრიზისის პანდემიამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. სწორედ ამ პერიოდში, დასაქმების ერთ-ერთი საშუალება თვითდასაქმება გახდა და უამრავი ადამიანი სოფელს დაუბრუნდა. ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ წონიარისში თავისი ბიზნესი განავითარა ახალგაზრდა ქალმა სოფიო დიასამიძემ, რომელიც დღეს მთელს საქართველოში ცნობილია, როგორც წარმატებული მეწარმე ქალი. სოფიო დიასამიძის საქმიანობის შესახებ უკვე იციან ქვეყნის გარეთაც. კორნავირუსის პანდემიის ფონზე, სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის განვითარებას მთელი ყურადღება დაუთმო. ბოსტნეულის, ხილის და სხვა კულტურების მოყვანის საჭიროებაც დადგა. მაღალმთიან აჭარაში დაბრუნებული და გამწვანებული მიწების გარდა, მიტოვებული საწარმოებიც მრავლად იყო. სოფიო დიასამიძემ თევზის უძველეს, მიტოვებულ ავზებს რესტავრაცია ჩაუტარა და მასში ლიფსიტების წარმოება დაიწყო.



წლიდან წლიმდე, ამ სფეროში ვარ და ეს მეხმარება კარგად შევასრულო ჩემი საქმე. ჩემი შვილისწავლაც თევზის მოვლასთან დაკავშირებული თეორიული საკითხებია, შემდეგ ადმინისტრაციულიც. ვმუშაობდი ერთ-ერთ მეურნეობაში, საიდანაც

საჯარო სამსახურში გადავიხადე. - გვიყვება სოფიო. ახალგაზრდა მეწარმე 2016 წლიდან შექმნა „ორგანული აქვაკულტურის განვითარების“ ასოციაცია. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ლიფსიტების გამრავლება. ამბობს, რომ მას შემდეგ არცერთი დღე არ დაუსვენია. - ეს არის პირველი მეურნეობა, რომელმაც დაიწყო განახლებული გენეტიკაზე მუშაობა და რომელსაც აქვს იმის პრეტენზია, რომ იყოს სტაბილური მიმწოდებელი ფერმერებისთვის. მეთევზეობაში არ

ის ბევრი პრობლემა. ჩვენ პასუხისმგებლობა ავიღეთ, რომელსაც ამ დრომდე ვუმკლავდებით, - ამბობს ახალგაზრდა ფერმერი. - საწარმოში დასაქმებული არიან ადგილობრივი ქალებიც. უკვე სამი წელია, მათი წყალობით, ლიფსიტების გამოყვანილი საინკუბაციო საამქრო დაბრკოლების გარეშე მუშაობს. სოფიოს თქმით, სოფლად მცხოვრებმა ქალებმა დაამტკიცეს, რომ რაც უნდა რთულ საქმეს შეეჭიდონ, მათთვის არაფერია შეუძლებელი და მიუღწეველი. - გვაქვს პრეტენზია იმისა, რომ ჩვენც შეგვიძლია ჩვენი ჰიდრორესურსები გამოვიყენოთ და თევზის წარმოება დავიწყოთ. არ უნდა ვიყოთ სხვა ქვეყნებზე, იმპორტზე დამოკიდებული. ადგილზე უნდა ვაწარმოოთ თევზი, ეს არ არის მეორადი სასურსათო პროდუქტი, თევზი ადამიანის ჯანმრთელობისთვისაა აუცილებელი. მუშაობაც სასიამოვნოა ამ სფეროში. ჩვენ არა მხოლოდ მომწოდებელს ვცდილობთ, არამედ გვესურს კვებითი ღირებულებაც გავზარდოთ. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო თევზის ფესტივალი. თევზი ის ცოცხალი ორგანიზმია, რომელთანაც მოდუნება არ შეიძლება, ყოველთვის გარემო პირობებზე ხარ დამოკიდებული. თუ ყველაფერს თანმიმდევრულად და ზუსტად მიყვებით, აუცილებლად გამოვა. ამას ვახერხებ ჩემს ძალიან

კარგ და მზრუნველ თანამშრომლებთან ერთად. ქედა არის სასურველი ადგილი თევზის მოსაშენებლად, რადგან ტერიტორია წყალუხვაა. სამწუხაროდ, ბევრი საწარმოა გაჩერებული სხვადასხვა მიზეზის გამო. ერთ-ერთი მიზეზი არის ლიფსიტა, მისი დაავადება, საკვები უამრავი პრობლემაა, რის გამოც ადარ ფუნქციონირებს საწარმოები, - ამბობს სოფიო. მეწარმე ქალის თქმით, პანდემიის შემდეგ, მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა. - როგორც იქნა, გამოვედი მე-თვევები პანდემიის მძიმე პერიოდთან. წელს, საკმაოდ აქტიური ტურისტული სეზონი გვაქვს, ჩვენი საქმიანობა კი პირდაპირ მიმბრუნდა ამ ფაზაზე, რადგან ჩვენს პირობებში გამოყვანილი კალმახი განსხვავებულია გემოვნური მახასიათებლებით. წელს მოუშადადებელიც კი შეგვადიოთ სეზონს, თუმცა ეს კარგი მაგალითია სამომავლოდ მეთევზე ფერმერების უფრო აქტიური მუშაობისთვის - ამბობს მეწარმე. სოფიო დიასამიძე ამ ეტაპზე ლიფსიტების რეალიზებას, როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიო ბაზარზეც ახდენს. როგორც თავად ამბობს, მისი ფინანსური მხარდაჭერა ორგანიზაცია CENI-ი. როგორც ცნობილია, ორგანიზაცია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

«ჯვარიმინდორობა»

მთაზე ლაშაში მხოლოდ მთაშია...

პირველი გვერიდან

ჯვარიმინდორი მალე აჭარის მთიანეთში შესანიშნავი ტურისტული ტერიტორია გახდება. სამშენობი უკვე დაწყებულია. რამდენიმე კოტეჯი, გასართობი ობიექტები უკვე იზიდავს უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტორებს. მარიამობის დღესასწაულს, ჯვარიმინდორის ფესტივალს ათობით უცხოელი და ადგილობრივი ტურისტი დაესწრო. ტურისტული აქტივობების თაობაზე კომენტარი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თინათინ ზოიძეს ვთხოვეთ. - დღეს ტრადიციული სახალხო დღესასწაულია, რომელიც პირველ რიგში, მნიშვნელოვანი ტურისტული პროდუქტია, მეორე მხრივ, მთაში მყოფი ადამიანები ეცნობიან იმ ტრადიციებს, კულტურას, სპორტულ მიღწევებს, რაც ჰქვანის ხეობისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენი მიზანია სახალხო დღესასწაულებზე ტურისტულ პროდუქტად ვაქციოთ, ადგილობრივებს შემოსავლის წყარო გავუზიანოთ. ჯვარიმინდორი საუკეთესო ტურისტული ჰაბია და მალე მოლაშქრებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. აქ უკვე გვაქვს საპიკნიკ სექციები, რომელიც საშუალებას აძლევს ვიზიტორებს, დალაშქრონ როგორც გურის მხარე, ამ შემთხვევაში გომის მთა, ასევე, გადავიდნენ ხინოს ხეობაში, რომელიც კულტურული ტრადიციებით, მატერიალური ძეგლებით ძალიან მდიდარია, ჰქვანის ხეობიდან ასევე შესაძლებელია გადასვლა ღორჯომის ხეობაში. ფაქტობრივად, ეს ხეობა ახალი ტურისტული მიმართულებების საწყისად იქცა. ჩვენ, სახელმწიფო სტრუქტურები, მიზნობრივად ვართ ჩართული ამ საქმეში, განვითარების პროექტიც უკვე მომზადებულია. მალე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო გამოაცხადებს კონკურსს, რომლის ფარგლებში მასშტაბური ინფრასტრუქტურა მოეწყობა შუახევის მუნიციპალიტეტში, რაც შუახევს საშუალებას მისცემს ახალი მიზიდულობის ცენტრი გახდეს.

იანი პაუზის შემდეგ, ვხედავ როგორ მოგვანატრება ერთმანეთი. ვსარგებლობ თქვენი გაზეთის და ჰქვანის ხეობის მკვიდრებს, ფესტივალის ყველა მონაწილეს მარიამობას, ჯვარიმინდორის ფესტივალს ვულოცავ.

წელიწადი გაატარეს თავიანთი მთაში ცხემლისემა თინა დუმბაძემ, ნახელაშვილებმა მერემ ბერიძემ. ისინი უკვე 80 წელს არიან გადაცილებულნი. ასაკი აღარ აძლევთ შესაძლებლობას, რომ მემთეურის რთული, შრომატევადი საქმე შეასრულონ, მაგრამ მთას მაინც ვერ ელევიან. ისინი ყველა ფესტივალის მონაწილენი არიან.

- ასაკი თავს მეც მახსენებს, - გვითხრა ანსამბლ «აილიონის» სამხატვრო ხელმძღვანელმა ბიძინა მუხაიამ, - მაგრამ ამ ფესტივალში ანსამბლის 30-მდე წევრთან ერთად, დიდი სიხარულით ვიღებ მონაწილეობას. ავტენტური ანსამბლი «ჰვანა», ცხომლისის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიული ანსამბლი «ფესვები», შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი «ზე-კართან» ჩვენთან ერთად გამოდიან ფესტივალზე. 50-წლიანი ისტორიის მქონე «აილიონის» რეპერტუარში 20-ზე მეტი სიმღერაა. წელს მაყურებელი მხოლოდ ორ სიმღერას მოისმენს. მრავალ მარი-

სწული «ჰვანობა» ხეობის მკვიდრებმა ჯვარიმინდორის ფესტივალში ჩაანაცვლეს. აქამდე გამართულ «ჰვანობასა» და ფესტივალზე, საპატიო ჰვანელებს ირჩევდნენ. ღონისძიების ორგანიზატორებმა წესი წელსაც არ დაარღვიეს და ხუთ თანახეობელს «საპატიო ჰვანელებს» წოდება მიანიჭეს. მათ დიპლომები თორნიკე რიყვაძემ და ომარ ტაყაიძემ გადასცეს. საპატიო წოდებები ამჯერად 80 წელს მიტანებულმა, რამდენიმე წიგნის ავტორმა მთა დიასამიძემ, ბიზნესმენმა, ქველმოქმედმა რამაზ მსახურაძემ, ჰვანელთა ყოფილმა რჩელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ხეია შარაშიძემ, ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ექიმის რუსლან ბოლქვაძემ და სავარო მოხელემ, 65 წლის თეიმურაზ კილაძემ დადიმსახურეს. რამაზ მსახურაძე და თეიმურაზ კილაძე 28 აგვისტოს არიან დაბადებულები. მათ ეს თარიღი საჯაროდ მიულოცეს.

- იყო «საპატიო ჰვანელი» დიდი აღიარება. ხეობის ულამაზესი დასახლება ცეკვაა ჩემი ადგილის დედა. მომავალი თაობის აღზრდის საქმეს მამა ავთანდილ ბოლქვაძე ემსახურა. იგი წლების განმავლობაში ცხემლისის 8-წლიანი სკოლის დირექტორი იყო. ჩემი მიზანია ღირსეული წინაპრების საქმე და სახელი თანახეობელთა დიდი თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე სამსახურით გაგვარძელო, - გვითხრა რუსლან ბოლქვაძემ.

ქართული ჭიდაობა სხალხო დღესასწაულებზე უკვე დიდ ადგილს იჭერს და მკურნებელსაც იზიდავს. რაც აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის ჯემალ წულუკიძისა და ვიცე-პრეზიდენტის გელა ზოიძის ნაყოფიერ მუშაობას მიეწერება. შუახევის სასპორტო სკოლის დირექტორისა და გელა ზოიძის ორგანიზებით სპორტული აქტივობები წელსაც მოეწყო. ფალავნები უმცროს ასაკსა და აბსოლუტურ წონაში გამოვლიდნენ. საპრიზო ადგილებზე გასულნი ლუკა ბოლქვაძე, ნიკა ნაკაშიძე, რომან სანიკიძე, ზაზა მუხაიანიძე, გიორგი დიმიტრაძე, ლუკა ნაკაშიძე თორნიკე რიყვაძემ, ომარ ტაყაიძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ დააჯილდოვეს. მათვე თასები, მედლები, სიგელები გადასცეს მკლავჭიშკრში გამარჯვებულებს რეზი თავბერიძეს, ზურაბ ცინაიძეს, ლუკა ნაკაშიძეს, ედნარ ჭაღალიძეს და მურმან ქათამაძეს. ჰქვანის ხეობაში, კერძოდ, სოფელ წყაროთა-



ამობას, ფესტივალს დაგასწროთ უფალმა. ფესტივალის წამყვანმა პოეტმა ვახტანგ გორაძემ მონაწილეებს სახელდახელო სცენასთან უხმო და მოკლედ მიმოიხილა ფესტივალის დაარსების ისტორია. პატივი მიაგო მისი წამოწყების ორგანიზატორის სანდრო შარაშიძის ხსენებას. მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაყაიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე. ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთნენ სკოლა «შიფინგობარის» აღსაზრდელები მანანა წულუკიძის ხელმძღვანელობით. ყველა მოხიბლა ქეთევან მახარაძის მიერ წაკითხულმა ლექსმა. 2007 წელს წამოწყებული სახალხო დღესა-

ში, ადრე უროს ტყორცნაში შევიბოი იმართებოდა, ასევე «შუამთობის» დღესასწაულზეც. ბადალი არ ჰყავდა წყაროთელ დურსუნ გორაძეებს. სამი წლის წინ გამართულ «შუახევობის» სახალხო დღესასწაულზე წყაროთის მკვიდრის, ისტორიკოს ელდარ გორაძეძის ინიციატივით, სპორტის ეს სახეობა კვლავ აღადგინეს. 30-მდე მოსწავლე ჩაერთო ასპარეზობაში «დურსუნ გორაძეძის» პრიზის მოსაპოვებლად. ყველაზე შორს ურო რომან ბერიძემ სტყორცნა და პრიზსაც დაეუფლა. მეორე და მესამე ადგილები მიწლია ჯოიძემ და მურმან ქათამაძემ გაიყვეს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, ფესტივალის ორგანიზატორები, საპატიო სტუმრები ჯვარიმინდორზე არსებული ტურისტული ლოკაციით, გამოფენებით, კულინარიით დაინტერესდნენ. - პირველ რიგში, მსურს მარიამობა მიველოცო მართლმადიდებელ ერს, ჩვენს ქვეყანას, ვუსურვო გაძლიერება, ღვთისმშობლის მფარველობა. ვიყავით შუახევის მუნიციპალიტეტის სამაგალითო ტერიტორიაზე, სადაც ტრადიციული დღესასწაული ერთად ვიხეივით. ჯვარიმინდორის ფესტივალს ვულოცავ ჰვანელებს და მათ სტუმრებს. გვახარებს ის ფაქტი, რომ ხეობაში ინფრასტრუქტურა ვითარდება, ტურიზმი საპატიო ადგილს იჭერს. საწყის ეტაპზე გარკვეული შედეგებიც არის. დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო წელს ეს ულამაზესი ადგილი მეტ დატვირთვას შეიძენს, - თქვა მთავრობის თავმჯდომარემ. «საპატიო შუახეველი», ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ლევან (ასლან) მუხაიანიძე ჰქვანის ხეობის სოფელ წყაროთის მკვიდრია. მან მშობლიური სოფლის ერთ უბანში ინფრასტრუქტურა მოაწყო, მან ახალ გაშენებულ ვენახს, ახალ კოტეჯს, მართლმადიდებლური სალოცველოც შეუქნა და ერთ დროს მიყრუებული-მიტოვებული ტერიტორია სანიმუშო ტურისტულ ობიექტად აქცია. ლევანი ხეობაში გამართული ყველა მასობრივი ღონისძიების მონაწილე და თანამდგომარე იყო ჯვარიმინდორის ფესტივალზე» ყოველ წელს თანამოსამქმებთან, მოპატიუებულ უცხოელ და ადგილობრივ სტუმრებთან ერთად მოდის. ასე იყო წელსაც. - ჯვარიმინდორი ჩემთვის უსაყვარლესი ტერიტორიაა. მასთან ზავშობა მაკავშირებს. წყაროთიდან თავიანთამდე პირტუკვის გადარეკვა-გადმორეკვის პროცესის მონაწილე მრავალგზის ვიყავი. დღეს გამიჩნდა იდეა არმაზ ახვლედიანისა და ვალერიან ქარციავის მიერ აღმართული ხის ჭვარს, ლითონის მანათობელი ჯვარი შექმნათ. ტურისტულ ინფრასტრუქტურას მართლმადიდებლური სალოცველოც შეუქნამო, რომლის აშენების ინიციატორი ვიქნები, - თქვა ლევან მუხაიანიძემ. ზემო ჯვარიმინდორზე, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად მთავრობის წევრები მია ხაჯიშვილი, ზაზა შავაძე, სხვა სამსახურების, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, გვიან ღამემდე გაგრძელდა.



ბათუმი – „ბიაფის“ მოლოდინში

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალის კინოფურმანებისთვის ნამდვილად დღესასწაულად იქცა. წლებია, ბათუმში „ბიაფის“ დღეები კინოს სამყაროში ახალი მოგზაურობის, აღმოჩენების, შთაბეჭდილებების მიღებისა და გააზრების დროა. 18-დან 26 სექტემბრის ჩათვლით, ფესტივალზე ბათუმს არაერთი კინომოყვარული ეწვევა

რა სახსრებით გველოდება „ბიაფის“ რიგით მე-17 კინოფესტივალზე, რა ფილმების ნახვას შევძლებთ, ამ და სხვა კითხვებზე კინოფესტივალის მენეჯერმა **ზვიად ელიზბაიშვილმა** გვებახლა.

- მოდი, გადავხედოთ კადრი... როგორ შეასწავს ხორცი იდეას, ქალაქში დაგეგმვის კინოფესტივალის და გვეჩვენოს თუ არა, რომ ასეთ მასშტაბებს მიაღწევდა?

- ცხადია, გვეჩვენოდა, რომ „ბიაფის“ განვითარდებოდა და, მისი მუშაობის დონეს მიაღწევდა, რაც ახლა გვაქვს, თუმცა, ცხადია, გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს, რათა გახდეს, თუნდაც შავი ზღვის რეგიონში, ერთ-ერთი წამყვანი კინოფესტივალი, მაგრამ ამას სჭირდება შესაბამისი მხარდაჭერა და ინფრასტრუქტურა, კინოთეატრები და სხვა. მიუხედავად არსებული ფინანსური პრობლემებისა, წელსაც ძალიან საინტერესო პროგრამა ელოდება მკითხველს. იგი მოიცავს: საკონკურსო სექციებს - მხატვრული და მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი, არასაკონკურსო სექციებს - „ქართული პანორამა“ (ახალი ქართული ფილმები), „ფოკუსი - უკრაინა“, „დიდოსტატთა კოლექცია“.

- გვიჩვენოთ რამდენიმე ფილმი, რომლებიც „ბიაფის“ ფარგლებში გაიმართება და თვლით, რომ არ უნდა დაგვტოვოთ ყურადღების მიღმა.

- ზოგადად, ყველა ფილმი საინტერესოა, თუმცა სხვადასხვა სექციონში შეიძლება გამოვყოთ გარკვეული ფილმები. საკონკურსო სექციიდან - მანჩესტერის „19“ (ირანი), მარინა გორბაჩის „სლონდაცი“ (უკრაინა/თურქეთი) - უკრაინის თემ-მატიკაზე, ცნობილი ქურთ რეჟისორ ბაშან გობადის „ოთხი კედელი“, რომლის ერთ-ერთი პროდიუსერიც როჯერ უოტერსი (Pink Floyd) იყო და ქართული ფილმი - სოსო ბლიაძის „ჩემი საკუთარი ოთახი“, რომლის წარმატებული პრემიერა კარ-



ლოვი ვარის საერთაშორისო ფესტივალზე წილს შედგა. „დიდოსტატთა კოლექციაში“ ყველა საინტერესო ფილმი, მათ შორის ისეთი ცნობილი რეჟისორებისა, როგორებიცაა მშები დარდენი, იერუ სკოლიმოვსკი, ლებ მაიენი, პაოლო ტავიანი და სხვა. „ფოკუსი - უკრაინა“ სექციიდან - „მარიუპოლი 2“, რომელიც მარიუპოლში მიმდინარე მოვლენებზეა. ამ ფილმის რეჟისორი, სამწუხაროდ, უკრაინის ომში დაიღუპა, ხოლო ფილმის პრემიერა კანის კინოფესტივალზე შედგა.

- გიცით, რომ კინოფესტივალის ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, მათ შორის არის არაკომერციული კინოსა და რეგიონის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების კინოინტერესით დაინტერესება და მათი ჩართულობა სხვადასხვა პროექტში. ამ გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, რა როლი ითამაშა აღნიშნული მიმართულებებით და ასევე კინოსექტორის განვითარებაში „ბიაფის“?

- ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ცხადია. ჩვენთან უკვე 9 წელია, არსებობს ინდუსტრიული პლატფორმა „ალტერნატიული ტალო“, რომელშიც ყოველწლიურად ათამდე ქართული კინოპროექტი მონაწილეობს და რეჟისორებს, პროდიუსერებს, სცენარისტებს საინტერესო ფილმისა და პრაქტიკული მასტერკლასები უტარდებოდათ სცენარისა და პროექტების განვითარების მიმართულებით. ჩვენ პერიოდულად ვატარებდით „ბიაფ კინოსკოლას“, სადაც სტუდენტებისთვის მრავალი საინტერესო ტრენინგი და ვორკშოპი გაიმართა. „ბიაფი“ რეალურად ერთადერთი პლატფორმა რეგიონში, სადაც კინომოყვარულებს შეუძლიათ დიდ ეკრანზე არაკომერციული, მაღალმხატვრული კინოფილმების ნახვა და ცნობილ ქართველ თუ უცხოელ რეჟისორებთან შეხვედრა.

ქტი მონაწილეობს და რეჟისორებს, პროდიუსერებს, სცენარისტებს საინტერესო ფილმისა და პრაქტიკული მასტერკლასები უტარდებოდათ სცენარისა და პროექტების განვითარების მიმართულებით. ჩვენ პერიოდულად ვატარებდით „ბიაფ კინოსკოლას“, სადაც სტუდენტებისთვის მრავალი საინტერესო ტრენინგი და ვორკშოპი გაიმართა. „ბიაფი“ რეალურად ერთადერთი პლატფორმა რეგიონში, სადაც კინომოყვარულებს შეუძლიათ დიდ ეკრანზე არაკომერციული, მაღალმხატვრული კინოფილმების ნახვა და ცნობილ ქართველ თუ უცხოელ რეჟისორებთან შეხვედრა.

- რა არის ის ნიშა, რომელიც „ბიაფმა“ დაიკავა და ამდენი წლის განმავლობაში მკაფიოდ შეინარჩუნა? და კიდევ - უფრო მეტი ადამიანის დაინტერესებისათვის, მეტი კინომოყვარულის ბათუმში ჩამოსვლისათვის რა დამატებითი ბერკეტი გეგმათ?

- მთავარი ნიშა ალბათ ისაა, რომ „ბიაფი“ არის თავისუფალი პლატფორმა, სადაც ყველას შეუძლია, მივიღეს, იხილოს უახლესი ფილმები (როგორც წესი, დასწრება უფასოა), შეხვედეს ძალიან ბევრ საინტერესო სტუმარს, დაესწროს მასტერკლასებს... ყველა ღონისძიება ღია ნებისმიერი დაინტერეს-

ბული კინომოყვარულისთვის. ასევე, მიუხედავად შედარებით მცირე მასშტაბისა (მცირე რესურსები) „ბიაფი“ ახერხებს, ყოველწლიურად წარმოადგინოს ძალიან კარგად შერჩეული ფილმების პროგრამა, რაც ყველა კინომოყვარულის გემოვნებას აკმაყოფილებს. ფესტივალის მასშტაბების გაზრდისთვის, ცხადია, აუცილებელია მეტი კინოსივრცე, ფინანსები და სხვა. ამ ეტაპზე იმ მცირე რესურსებით, რაც გვაქვს, შეიძლება ითქვას, მაქსიმუმის მაქსიმუმი გაკეთდა „ბიაფის“ მენეჯმენტის მიერ.

- კომპლიმენტი, შთაბეჭდილება, სიტყვები „ბიაფის“ მისამართით, რომელსაც, თქვენი შეხედულებით, ფესტივალის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს...

- ჩვენ ბევრი საინტერესო სტუმარი, ცნობილი კინემატოგრაფისტი გვყოლია სტუმრად და, როგორც წესი, ყველა ძალიან კმაყოფილი ტოვებს ფესტივალს და აღნიშნავს მის მნიშვნელობას კინოფილმების ხელშეწყობის თუ ბათუმის პოპულარიზაციის კუთხით. ერთ-ერთი საინტერესო შთაბეჭდილება დაკავშირებული იყო ცნობილ ირანელ რეჟისორ მოშენ მაშ-მალბაფთან, რომელიც 2017 წელს ბათუმში კინოფესტივალის საპატიო სტუმარი იყო. როგორც მან დახურვის ცერემონიაზე აღნიშნა, სწორედ „ბიაფზე“ შეძლო თავისი ოჯახის წევრების (დე, დისვილები და ასე შემდეგ) ნახვა, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ ირანიდან მის სანახავად, რადგან მოშენ მაშ-მალბაფი დიდი ნახია უკვე ემიგრაციაშია და ირანში ჩასვლა აკრძალული აქვს.

- წელს ფესტივალს თუ ექნება კონკრეტული თემატიკა, რომელსაც განსაკუთრებული დრო დაეთმობა?

- ცვლილებით, არ შეგზღუდოთ რაიმე თემატიკით, შესაბამისად, ფილმებს, ძირითადად, იმის მიხედვით ვარჩევთ, რამდენად საინტერესო მხატვრული თვალსაზრისით. წელს ერთადერთი ცალკე თემატიკური სექცია გვექნება - „ფოკუსი - უკრაინა“, სადაც წარმოდგენილი იქნება უკრაინაში მიმდინარე პროცესების ამსახველი ფილმები, რაც, ვფიქრობთ, ძალიან დაინტერესებს მკითხველს.

- გიცით, რომ სათანადოდ დაუფინანსებლობის გამო „ბიაფის“ ჩატარებაც კი დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ მხრივ ისევ ერთსა

და იმავე ადგილს ვტკეპნით თუ ბოზიტიური ძვრები შეინიშნება?

- პირიქით, წელს კატასტროფული სიტუაციაა ამ მხრივ. ფაქტობრივად დაფინანსების გარეშე ვართ. „ბიაფის“ დაფინანსებაზე უარი განაცხადეს სახელმწიფო ორგანიზაციებმა, რომლებიც წლების განმავლობაში იყვნენ პარტნიორები, მათ შორის საქართველოს კულტურის სამინისტრო და საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა (არ მიგვიღია რაიმე არსებითი განმარტება), აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (ძალიან ალოგიკური არაფერია შქონდათ პასუხად და „ბიაფი“ ვერ მოხვდა მათ მიერ 10 დაფინანსებულ ფესტივალს შორის). ველოდებით ბათუმის მერიის პასუხს, რაც ურვეულოდ გაიწეა დროში, ჩვენ კი უკვე 3 კვირზე მეტია, დროულად შევიტანეთ განაცხადი, მაგრამ არავინ შეგვხმაინებია. სხვა ყველა ფესტივალი დაიბარეს გასაუბრება-პრეზენტაციასზე განცხადების შეტანიდან რამდენიმე დღეში. ამ ეტაპზე მოვახერხებთ, რომ არსებული რთული სიტუაციის გათვალისწინებით, ბევრმა პროდიუსერულმა კომპანიამ უფასოდ, ლიცენზიის გადასახდის გარეშე მოგვცა ფილმის ჩვენების უფლება (თითო ფილმის ლიცენზია 400-1000 ევროს ფარგლებში მერყეობს), ასევე რამდენიმე საელჩო ჩაერთო მხარდაჭერის კუთხით.

- სად გაიმართება კინოჩვენებები?

- ტრადიციულად, კინოთეატრ „აპოლონი“ და ევროპის მოედანზე.

- რას ეტყვით მათ, ვინც ჯერ კიდევ არ დასწრება „ბიაფის“ კინოჩვენებებს?

- ვისაც უყვარს კინო და, ზოგადად, ხელოვნება, „ბიაფი“ მათთვის იდეალური ფორუმი, სადაც უახლესი კინოშედეგები შეიძლება იხილონ დიდ ეკრანზე - კინოთეატრში.

- დაბოლოს, როგორია თქვენი მოლოდინი „ბიაფის“ მე-17 კინოფესტივალის მიმართ?

- მოლოდინებზე წელს ნაკლებად ვისაუბრებ, თუმცა ვფიქრობ, არსებული რთული ფინანსური სიტუაცია ერთგვარი გამოწვევაა, რასაც, დარწმუნებული ვართ, გადავლახავთ და მართლაც ძალიან საინტერესო და კარგი პროგრამით წარსდგება მკითხველის წინაშე ჩვენი კინოფესტივალი.

„ლაშის სერენადები“ – ბათუმური ზაფხულის კიდევ ერთი ფორიკვირკი

კლასიკური მუსიკის მოყვარულებისათვის „ლაშის სერენადები“ ის ფესტივალია, რომელსაც მოუთმენლად ელოდებიან

ორი დღის განმავლობაში ბათუმის დრამატული თეატრის სცენიდან ავსტრიაში მოღვაწე ამერიკელმა პიანისტმა ქეთი მაშანმა და გერმანელმა კლარნეტისტიმ საბინე გროფმაიერმა, ფესტივალის საბაზო ორკესტრის საქართველოს ვირტუოზებთან ერთად, დაუვიწყარი საღამოები აჩუქეს მსმენელს. მსოფლიოში აღიარებული ორმა მუსიკოსმა ქალბატონმა ნამდვილი ცეცხლი დაანთო სცენაზე. გულწრფელი და მქუხარე აპლოდისმენტებისთვის მათ მაღლობა გადაუხადეს აუდიტორიას, რომელიც, როგორც განაცხადეს, განსაკუთრებულია:

- ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში, აღფრთოვანებული ვარ ბათუმით, აქაური ხალხით, მათი დახვედრით, მათგან წამოსული დადებითი ენერჯით, რომელიც ვადამდები იყო. შეიძლება ითქვას, კარგი გამოცდილება მივიღე და ამავდროულად, საკუთარ ქვეყანაში ძალიან დიდი სითბო და სიყვარული მიმაქვს. მოხარული ვარ რომ მომეცა შესაძლებლობა, ამ არაჩვეულებრივ ფესტივალზე გამოვსუ-

ლოყავი და დამეკრა თქვენთვის, - განაცხადა პიანისტმა ქეთი მაშანმა, რომელმაც მოცარტის, გერშვინის და კიდევ არაერთი ცნობილი კომპოზიტორის ნაწარმოებები შეასრულა.

გაზეთ „აჭარას“ თავისი ემოციები გაუზიარა პროფესორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა არსენ გვერტაძემ, რომელმაც „ლაშის სერენადებს“ სულის ზეიმი უწოდა და აღნიშნა, რომ კლასიკური მუსიკა გამოაშფოთს ბედნიერების ჰორმონს, რომელიც ადამიანის გუნება-განწყობას მრავალფეროვანი ემოციებით ავსებს.

- ეს არის საღამო, რომელსაც მოაქვს უდიდესი ემოცია, ადამიანური სულის სხვა დღევა... ჩემთვის „ლაშის სერენადები“ სულის ზეიმი. ისეთი საღამო იყო, მომინდა, სცენაზე ვმდგარიყავი და, მუსიკოსების მსგავსად, ემოცია გამეზიარებინა ვინმესთვის. ენით აუწერელი ბედნიერება და სიამოვნება ვიგრძენი. მაღლობა ფესტივალის ორგანიზატორებს - ქალბატონ ნანა ცაგარელს, გიორგი ისაკაძეს. მხოლოდ და მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მაღლიერი ვარ მათი, რომ ასეთ მუსიკას მაზიარეს, - გვითხრა არსენ გვერტაძემ.

ფესტივალის მნიშვნელობასა და მიღებულ ემოციებზე ისაუბრა ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორმა და პიანისტმა ნატალია ორაგველიძემ:

- ძალიან აუთიტირებული, აღფრთოვანებული გამოვედი კონცერტიდან. დღეს ვნახე ნიჭიერების, სილალის, სილამაზისა და სიყვარულის საოცარი სინთეზი სცენაზე. ქალბატონებმა ნამდვილად მოგვხიბლეს თავიანთი ოსტატობით, ენერჯეტით, საინტერესო რეპერტუარით. მათი განწყობა ნამდვილად გადამდები იყო თითოეული ადამიანისათვის. მათ სამართლიანად დაიმსახურეს ოვაციები გულწრფელი მსმენელის მხრიდან. ძალიან დიდხანს დამჩრება ეს არაჩვეულებრივი საღამო მეხსიერებაში. მაღლობა ფესტივალის ორგანიზატორებს ტრადიციის შენარჩუნებისათვის. მიმანია, რომ ამ ფესტივალმა ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ყოველ წელს გვაძლევს შესაძლებლობას, გამოჩრეულ ვირტუოზებს მოვუსმინოთ, რაც ძალიან დიდი ფუფუნებაა.

